

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია კომერციული ბანკების მიერ საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების მიღება/შესრულების პროცედურების დახვეწის აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის შემუშავება მიზნად ისახავს კომერციული ბანკების საქმიანობისათვის ხელშეწყობას, მათი და საგადასახადო ორგანოების ურთიერთობის და ინფორმაციის გაცვლის პროცედურების გამარტივებას, რაც თავის მხრივ ზეგავლენას მოახდეს საბანკო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსი შემდგომში მდგომარეობს:

საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალებაში მიეთითება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საიდენტიფიკაციო ნომერი და გადასარიცხი თანხის ოდენობა და აღარ გაკეთდება მითითება იმ საბანკო ანგარიშების შესახებ, რომლებიდანაც უნდა განხორციელდეს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების გადარიცხვა. ამასთან, ბანკები და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციები აღარ იქნებიან ვალდებულნი საგადასახადო ორგანოებს მიაწოდონ ინფორმაცია ყველა ანგარიშის გახსნისა ან დახურვის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით იქნება განსაზღვრული. საბანკო დაწესებულებები ვალდებულნი იქნებიან საგადასახადო ორგანოებს შეატყობინონ ანგარიშის მხოლოდ პირველად გახსნისა და ამ კლიენტთან საბანკო მომსახურების შეწყვეტის ფაქტი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი